№1218 2015 წლის 11 ივნისი ქ. თბილისი

„შეღავათიანი აგროკრედიტის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №139 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „შეღავათიანი აგროკრედიტის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №139 განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ „სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების ღონისძიებების დეტალურ აღწერილობებში“ (დანართი №2) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნეს.**

2. **მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ) სააგენტოს თანმხვედრი თანადაფინანსების ოდენობა განისაზღვრება პროექტის ჯამური ღირებულების 40%-ით. სააგენტოს თანმხვედრი თანადაფინანსების ოდენობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 80 000 (ოთხმოცი ათასი) აშშ დოლარს (ეკვივალენტს ლარში) და არ უნდა აღემატებოდეს 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარს (ეკვივალენტს ლარში). ამავდროულად, სააგენტო თანადაფინანსებას განახორციელებს ეროვნულ ვალუტაში ცალკეული ტრანშის გაცემის დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით. სააგენტოს თანმხვედრი თანადაფინანსების ოდენობა შეიძლება, შეადგენდეს პროექტის ჯამური ღირებულების 40%-ზე ნაკლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ჯამური ღირებულება აღემატება 625 000 (ექვსას ოცდახუთი ათასი) აშშ დოლარს.“.

3. მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ბენეფიციარის ფულადი თანამონაწილეობა – პროექტის ჯამური ღირებულების არანაკლებ 10%-ისა, საწარმოს კაპიტალში შენატანის სახით. იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარის თანამონაწილეობა აღემატება 62 500 (სამოცდაორი ათას ხუთასი) აშშ დოლარს ან მის ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში, საწარმოს კაპიტალში ფულადი სახსრების შეტანის დღისათვის არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით, ბენეფიციარს უფლება აქვს, გადაჭარბებული თანხა არ შეიტანოს საწარმოს კაპიტალში;“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**